IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

იანვარი 2017

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში - პროექტის შედეგების პრეზენტაცია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“ დასკვნით პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებაზე IDFI-ის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგები და მომზადებული წინადადებები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

მშენებლობის გამო თბილისში მოჭრილი ხეების სტატისტიკა

2016 წელს თბილისის მერიის ნებართვებით მოჭრილ ხეებს შორის, წინა წლებთან შედარებით, მინიმუმ 5-ჯერ მეტ ხეს მიენიჭა დაზიანებულის სტატუსი. ამასთან, ნებართვების საფუძველზე მოჭრილი ხეების მთლიანი რაოდენობა არ გაზრდილა.

ეს გარემოება აჩენს კითხვას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ხდება დედაქალაქში ხეებისთვის დაზიანებული სტატუსის მინიჭება. მითუმეტეს, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 2016 წლის ზაფხულში

გამოავლინეს ხეებისთვის დაზიანებული სტატუსის არაკეთილსინდისიერად მინიჭების ფაქტი.

ღია და გამჭვირვალე მმართველობის საპარლამენტო საბჭოს გასვლითი შეხვედრა

18 იანვარს, სასტუმრო „ქრაუნ პლაზა ბორჯომში“ გაიმართა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს და საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის გასვლითი შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა საპარლამენტო ღიაობის საკითხები და სამომავლო ნაბიჯები.

შეხვედრას ესწრებოდნენ ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ახლადარჩეული წევრები, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ახალი შემადგენლობა დაამტკიცა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #9/3 ბრძანებით დამტკიცდა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ახალი შემადგენლობა. პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად, საბჭოს ახალ შემადგენლობაში შევიდნენ: ირინა ფრუიძე (საბჭოს თავმჯდომარე), ფრაქცია „ქართული ოცნება“; ირაკლი კობახიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება“; თამარ ჩუგოშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება“; გიორგი კახიანი, ფრაქცია „ქართული ოცნება“; კახაბერ კუჭავა, ფრაქცია „ქართული ოცნება“; გუგული მაღრაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება“; გიორგი ტუღუში, ფრაქცია „ევროპული საქართველო - უკეთესი მომავლისთვის“; ოთარ კახიძე, ფრაქცია „ევროპული საქართველო - უკეთესი მომავლისთვის“; და ემზარ კვიციანი, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“.

ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში (აპრილი-დეკემბერი, 2016)

უახლესი გამოკითხვები აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით 2013 წლის შემდეგ დიდად არ შეცვლილა და საზოგადოებაში კვლავ არსებობს იმის განცდა, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაკანონიერად იყენებენ ფარული მიყურადების ტექნიკურ საშუალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული უკანონო მიყურადების საქმეების გამოძიებაში, 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უკანონო ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების გაგრძელებამ გააძლიერა ეჭვი, რომ გრძელდება უკანონო თვალთვალის სისტემური პრაქტიკა, რომ ხელისუფლებას არ სურს საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვა და რომ ამ მიმართულებით არ მიმდინარეობს ეფექტური რეფორმა.

კოალიცია მოუწოდებს პარლამენტს გაითვალისწინოს პრეზიდენტის შენიშვნები მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღასთან“ დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მას ხელმოსაწერად 2017 წლის 10 იანვარს გადაეგზავნა. კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მიაჩნია, რომ ის შენიშვნები, რაზეც საქართველოს პრეზიდენტი ამახვილებს ყურადღებას, უმნიშვნელოვანესია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და რეფორმის სწორად წარმართვისთვის.

„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ - კონსტიტუციაში საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებზე ჩანაწერი უნდა გაკეთდეს

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში საქართველოს ევრო-ატლანტიკური კურსის აღნიშვნა უმნიშვნელოვანესი განაცხადი იქნება, როგორც ქვეყნის შიგნით ევროპული ტიპის დემოკრატიის ფორმირების, ასევე ქვეყნის გარეთ საგარეო-პოლიტიკური კურსის პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. საქართველოს უკვე აქვს გაცხადებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი, თუმცა ის არ არის აღნიშნული საქართველოს სახელმწიფოს სახელმძღვანელო დოკუმენტსა და ძირითად კანონში - კონსტიტუციაში. ვფიქრობთ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მუდმივად დგას საგარეო პოლიტიკური გამოწვევების წინაშე, აღნიშნული განაცხადის კონსტიტუციის სიმაღლეზე აყვანა კიდევ ერთი გარანტია იქნება ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთადერთი სწორი მიმართულებით განვითარების თვალსაზრისით.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში დაგეგმილი ცვლილებების შეფასება

16 იანვარს საქართველოს მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა შესყიდვების შესახებ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პაკეტი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოამზადა.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებებს ორი ძირითადი მიზანი აქვს: 1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; და 2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში დავების განხილვის წესის გაუმჯობესება/დახვეწა. კანონპროექტში შემავალი ცვლილებების უმეტესობა დადებითია, თუმცა არის რისკის შემცველი შემოთავაზებებიც.

განცხადება საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ რუსულ სახელმწიფო კომპანია „გაზპრომ ექსპორტთან“ მოლაპარაკებების შედეგების შესახებ



გვჯერა, რომ ,,გაზპრომ ექსპორტთან“ გაფორმებული ახალი სატრანზიტო ხელშეკრულება არ წარმოადგენს მხოლოდ ენერგეტიკის სფეროს საკითხს, ის ფართო გაგებით ეროვნული უსაფრთხოების თემის

ნაწილია. ამიტომაც, შეთანხმების მომზადებისას უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ექსპერტულ და აკადემიურ წრეებთან ფართო კონსულტაცია, პროცესი უნდა წარმართულიყო გამჭვირვალედ, და მთავრობას არ უნდა მიეღო ეს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე. სამწუხაროდ, სახეზეა უპასუხისმგებლო, ჩვენთვის მიუღებელი მიდგომის მაგალითი. დარწმუნებული ვართ, რომ მოლაპარაკებების წარმართვისას ყველა არსებული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და პროფესიული რესურსის გამოყენება შესაძლებელს გახდიდა ასეთი შედეგის თავიდან აცილებას.

„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ განცხადება საქართველოს მთავრობის მიერ გაზპრომთან ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

„კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ ეხმაურება 2017 წლის 11 იანვარს გავრცელებულ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, დათანხმდეს გაზპრომის პირობებს და ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირის საფასური მიიღოს ფულადი და არა აირის სახით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

მიგვაჩნია, რომ ახალი პირობები აუარესებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას, ხოლო ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დამაკმაყოფილებელი არ არის.

კამპანია „ეს შენ გეხებას“ განცხადება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ინიციატივაზე

კამპანია „ეს შენ გეხება“ მიიჩნევს, რომ მსგავსი მოდელის დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი უგულებელყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური წესრიგის დარღვევას წარმოადგენს და საფრთხეს უქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს.

კამპანია მოუწოდებს საკანონდებლო ორგანოს, პატივი სცეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქართველოს კონსტიტუციას და საკონსტიტუციო წესრიგს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის გარანტს წარმოადგენს.

კოალიცია ეხმიანება ევროსაბჭოს კომიტეტის გადაწყვეტილებას სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა სიის არდამტკიცების შესახებ

კოალიცია მოუწოდებს ხელისუფლებას, ყურადღებით მოეკიდოს იმ ნაკლოვანებებს, რაც ახასიათებდა აღნიშნული პროცესს და შესაბამისი ცვლილებები ასახოს ახალი კომისიის დაკომპლექტების, საქმიანობის წესის განსაზღვრისა და მუშაობის პროცესში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის სიჯანსაღეს და მის შესაბამისობას ევროსაბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

კოალიცია მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებთან ხარვეზების დასაძლევად და დასახელებული მიზნების მისაღწევად.